

სკოპინგის დასკვნა N22

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 500 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: წყალტუბოს, ვანის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 08.01.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „დგ კონსალტინგი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, წარმოდგენილია 500 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში.

2020 წლის 21 სექტემბერს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (500 კვ.) „წყალტუბო-ახალციხის“ გაყვანასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-840), რომლის მიხედვით, ეგხ-ის სიგრძე შეადგენდა 103 კმ-ს და მოიცავდა წყალტუბოს, ვანის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ეგხ-ის დერეფანში 235 ანძის ნაცვლად, მოეწყობა 289 ანძა და ეგხ-ის სიგრძე 103 კმ-დან, გაიზრდება 105 კმ-მდე. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ეგხ-ის მონაკვეთი კვეთს კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უახლოესი საცხოვრებელი სახლი, ეგხ-ის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, მოსაწყობი მონაკვეთებიდან მდებარეობს 50 მეტრის (სოფ. ვარხანი და სოფ. ხევაშენი) დაშორებით.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის ალტერნატივები და უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის ალტერნატივის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში 500 კვ ძაბვის ორჯაჭვია ეგხ-ის ძაბვა რჩება უცვლელი, ასევე უცვლელია სადენების რაოდენობა. სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ანძის ტიპებისა და მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც იგეგმება შუალედური, დიდი და მცირე დატვირთვის ანძების განთავსება. რელიეფის შესაბამისად თითოეული ანძისთვის განისაზღვრება სიგრძე. ანძებს შორის დაშორების მანძილი შეადგენს დაახლოებით 400 მეტრს. წარმოდგენილი ინფორმაციით, ანძების მოწყობის ადგილების ცვლილება მოხდა საკვლევ არეალში ჩატარებული კვლევებისა და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რის შედეგადაც ანძების განთავსებისთვის შერჩეულ იქნა გეოლოგიურად უფრო სტაბილური ხელსაყრელი ადგილები, ასევე მნიშვნელოვნად შეიცვალა ორი მონაკვეთი, რაც გამოწვეული იყო დასახლებულ პუნქტზე (აბასთუმნის მონაკვეთი) და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, 500 კვ ძაბვის „წყალტუბო-ახალციხის“ ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი იწყება წყალტუბოს 500 კვ ძაბვის ქვესადგურიდან (GPS კოორდინატები: X-302009.78 , Y-4683845.23) და მთავრდება ახალციხის 500 კვ ძაბვის ქვესადგურთან (X-342751.55; Y-4619446.10). საპროექტო ეგხ-ის დერეფანი რამდენიმე მონაკვეთზე გადაკვეთს მდ. რიონს, სარკინიგზო ხაზს, ასევე საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია ვანის მუნიციპალიტეტში „AP 41 - AP 42“ (GPS კოორდინატები: X- 305499.87, Y-4641072.32; X-306444.88, Y-4638493.28) და „AP46 - AP 53“ (GPS კოორდინატები: X- 305686.49, Y-4635007.52; X-308942.97, Y- 4626678.87) შორის მოქცეული ანძების ადგილმდებარეობის რამდენიმე მეტრით გადაადგილება. აღნიშნული მონაკვეთის შემდეგ ძირითადი ცვლილებები განხორციელდება ადიგენის მუნიციპალიტეტში, „AP 57-დან AP 65-მდე“ მონაკვეთზე (GPS: X-316248.44, Y-4619656.96; X-324667.88, Y-4619966.95). ელექტროგადამცემი ხაზის კორექტირებული დერეფანი გაივლის სოფლებს ფხერსა და ნაქურდევს შორის არსებულ მთის ფერდზე. „AP 60“ უახლოვდება დასახლებულ პუნქტს (სოფ. ხევამენი) და გაივლის უახლოეს საცხოვრებელი სახლთან 50 მეტრის დაშორებით, შემდგომ კვეთს აბასთუმნისკენ მიმავალ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო („ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარა“) გზას და უახლოვდება სოფელ ვარხანის მიდამოებს, სადაც უახლოეს საცხოვრებელ სახლსა და ეგხ-ის შორის არსებული მანძილი 50 მეტრია. „AP 63-დან AP 65-მდე“ (X-323772.96, Y- 4618523.55; X-324667.88, Y- 4619966.95) მონაკვეთი მიემართება ჩრდილოეთისკენ. „AP 65“-დან ეგხ-ის დერეფანი რჩება უცვლელი და გრძელდება 2020 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მარშრუტის შესაბამისად.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილი არ არის. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამშენებლო ბანაკის მოწყობა არ არის გათვალისწინებული.

საპროექტო ეგზ-ის მშენებლობა იწარმოებს ძირითადად სამი უბნიდან, სადაც განთავსებული იქნება სამშენებლო მასალების დროებითი საწყობები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიები ძირითადად უზრუნველყოფილია მისასვლელი გზებით. ზოგიერთ მონაკვეთზე საჭირო იქნება სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, ასევე გარკვეულ მონაკვეთებზე (ვანის და ადიგენის მუნიციპალიტეტებში) ანძების განთავსების ადგილებამდე მისასვლელად დაგეგმილია ახალი გზების მშენებლობა, 5 მეტრამდე სიგანით. ახალი გზების მშენებლობა გათვალისწინებულია ვანისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში. ვანის მუნიციპალიტეტში გზა მოსაწყობი იქნება ძირითადად დაუსახლებელ ტერიტორიებზე, დაახლოებით 60-70 ერთეულ მონაკვეთზე (თითოეულ მონაკვეთზე დაახლოებით 300-500 მ სიგრძით). ადიგენის მუნიციპალიტეტში გზა მოეწყობა დაახლოებით 20 მონაკვეთზე (თითოეულ მონაკვეთზე 30-50 მ სიგრძით).

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება დაკავშირებული იქნება გეოდინამიკური პროცესის, კერძოდ ეროზიის გააქტიურების რისკებთან. წარმოდგენილი ინფორმაციით, გზმ-ის ეტაპზე დეტალურად იქნება შესწავლილი აღნიშნული სახის ზემოქმედება და განისაზღვრება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია, საპროექტო არეალის ბიომრავალფეროვნების მოკლე დახასიათება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, მიმდინარეობს დეტალური კვლევების განხორციელება, რომლის შედეგები შესაბამისი რეკომენდაციებით, შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებების გათვალისწინებით წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, არცერთი უბანი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრების მიმდებარედ და შესაბამისად ცვლილება არ ეხება დაცულ ტერიტორიებს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ადიგენის, ვანისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფებზე განთავსება. საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების

დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2024 წლის 5 და 6 თებერვალს ადიგენის, ვანისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში, სოფ. ვარხანში, სოფ. ბენარაში, სოფ. საპრასიაში, სოფ. ამაღლებასა და სოფ. პატრიკეთში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, შპს „დგ კონსალტინგის“, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები და მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა სოციალურ და კომპენსაციის საკითხებს. დამსწრე საზოგადოების მხრიდან დასმულ საკითხებზე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოხდებოდა დამატებითი შეხვედრების ორგანიზება ადგილობრივ მოსახლეობასთან. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვების ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1 გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

4. გზმ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული პროექტის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ანძების განთავსების ალტერნატიული ვარიანტები, ასევე უმოქმედობის ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთება;
- 2020 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების ტერიტორიის აღწერა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ეგზ-ის დერეფნის Shp ფაილები, საყრდენი ანძების GPS კოორდინატების მითითებით;
- 2020 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ეგზ-ის სქემა/სიტუაციური რუკა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- 2020 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ეგზ-ის დერეფნებიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/დასახლებამდე და ზედაპირული წყლის ობიექტამდე, მდებარეობის მითითებით (რუკაზე ჩვენებით);
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებების - საპროექტო ანძების მოწყობა/გადაადგილებისა და ექსპლუატაციის დეტალური აღწერა;
- საპროექტო და დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების, ტექნოლოგიური მოწყობილობების აღწერა, შესაბამისი პარამეტრების მითითებით;
- 2020 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებით, დაზუსტებული ინფორმაცია ეგზ-ის სიგრძისა და ანძების რაოდენობის შესახებ;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საპროექტო ეგზ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები, ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი;
- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების (დაცვის) შესახებ;

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესაბამისად, ინფორმაცია ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- 2020 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნების დეტალური აღწერა, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში) მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების გადაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ინფორმაცია ანძების გადაადგილება/მოწყობის და ეგზ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია მშენებლობის პერიოდში წარმოსაქმნელი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე წყალმომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი წყლებისა და მართვის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელი გზების შესახებ. ამასთან, დაზუსტებული ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებით, საპროექტო საყრდენი ანძების განთავსების ლოკაციებამდე მისასვლელი გზების შესახებ (სქემატური ნახაზების და shp ფაილების მითითებით);
- სამშენებლო სამუშაოებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;

4.1. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი ვადების მითითებით. ამასთან, მოცემული იყოს სამშენებლო სამუშაოების გეგმა- გრაფიკი;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობების, ასევე ადგილების შესახებ (მდებარეობის მითითებით - GPS კოორდინატები, Shp ფაილები);
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მათი მართვის საკითხების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;

- მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკისა და დანადგარების შესახებ;

4.2 საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხები:

- 2020 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ (მოსაწყობი და სარეაბილიტაციო გზების სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე ასახვით);
- დეტალური ინფორმაცია ახალი მისასვლელი გზების მოწყობის და არსებულის რეაბილიტაციის შესახებ. წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გზების პარამეტრების მითითებით, ასევე შეფასებული უნდა იქნეს გზების მოწყობით/რეაბილიტაციით გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე;

4.3. გზმ-ის ანგარიშში, გეოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობების პიკეტური აღწერა (უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიის სივრცეში არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების აღწერასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- ზემოქმედება გრუნტის და მიწისქვეშა წყლებზე;
- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ეგბ-ის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ეგბ-ის იმ მონაკვეთებზე, სადაც იგეგმება ანძების ადგილმონაცვლეობა, მათი განთავსების სამშენებლო მოედნებზე უნდა ჩატარდეს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები.

4.4. ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ საპროექტო ეგბ-ის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთაშორისო

ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელი ნუსხით" დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებასა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. კვლევის შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს ფოტომასალასთან ერთად;

- საპროექტო ტერიტორია ემთხვევა ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიას (IBA – GE015 Adjara-Imereti Ridge). აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევების ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ფრინველებზე და წარმოდგენილ იქნეს დეტალური ინფორმაცია, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ ფრინველთა სახეობებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებასა და შემარბილებელ ღონისძიებებზე, მათ შორის ელექტროგადამცემ ხაზებზე ფრინველთა დამაფრთხობელი მოწყობილობების განთავსებასთან დაკავშირებით;
- კვლევების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც, აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტზე, მათ შორის ცხოველებზე, ასევე ფრინველების სიკვდილიანობაზე (მაგალითად როგორცაა ელექტროსადენებთან შეჯახებით სიკვდილიანობა) დაკვირვების და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პრევენციული, მათ შორის საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით;
- პროექტის ალტერნატივების შედარებითი ანალიზი და შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის სათანადო დასაბუთება, განსაკუთრებით ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების კუთხით;
- ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების ამსახველი დეტალური ინფორმაცია, სათანადო პრევენციული ქმედებების აღწერით;
- გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსაწყობი ინფრასტრუქტურის, მათ შორის მისასვლელი გზების, ფუჭი ქანების სანაყაროს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისას ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და საქმიანობის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ამასთან, მითითებული უნდა იყოს შესაძლო ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება (ხმაურის გავრცელების სიხშირე და დონე), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, გრუნტის ხარისხზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიომრავალფეროვნებაზე, შემარბილებელი/პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ნარჩენების მართვის საკითხებისა და ნარჩენების მართვის გეგმის მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მოცემული უნდა იყოს ასევე სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ, არქეოლოგიურ ძეგლებზე (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტ(ებ)ი, რათა გამოირიცხოს როგორც შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების რისკები, სათანადოდ შეფასდეს პროექტის გავლენის ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი სავარაუდო ზემოქმედება);
- მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, მიმდებარე არსებული ობიექტების გათვალისწინებით, შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (მათ შორის ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთების, კერძო საკუთრებების შესახებ), ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;

- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიში სტრუქტურულად გაუმართავია, ასევე მოიცავს ტერმინოლოგიურ უზუსტობებს, ტექნიკურ ხარვეზებს, ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის წინადადებებს (მაგ: დოკუმენტში მითითებულია, რომ საპროექტო ანძების ადგილმდებარეობის ცვლილება მოხდა ადგილზე ჩატარებული გეოლოგიური კვლევების შედეგების მიხედვით, ასევე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებითა და თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ანძების გეოლოგიური პირობები იდენტურია). აღნიშნული საკითხი, გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშის შედგენისას;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი ეგხ-ის ბუფერის მთლიანი 52696987 კვ.მ (5269,6 ჰა) ფართობიდან (Shp ფაილი) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 8467793 კვ.მ (846.7 ჰა) ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, ხონი-წყალტუბოს სატყეო უბნის ცხუნკურის სატყეოში; ვანი-ბაღდათის სატყეო უბნის ვანის, სულორის და ვანი-საირმის სატყეოებში; ჩოხატაურის სატყეო უბნის ზემო სურების სატყეოში; ადიგენის სატყეო უბნის კურცხანას, ლღვისა და ცახანის სატყეოებში და ახალციხის სატყეო უბნის ელიაწმინდას, სვირისა და წინუბანის სატყეოებში. ამასთან, სახელმწიფო ტყეში არსებული 3286159 კვ.მ ფართობი მდებარეობს ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო. ლტდ“-ის (ლიცენზიის N1000037, ვადა 10.10.2028 წ.) სამოქმედო ტერიტორიაზე. აგრეთვე, სახელმწიფო ტყეში არსებული ფართობი ზედდებამია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ს/კ N31.21.21.158 (ფართობი: 912 405 კვ.მ.) და კერძო მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე ს/კ N31.13.24.455 (ფართობი ამონაწერით არ არის ტყის ფონდი, თუმცა ტყის კონტური დაკორექტირებული არ აქვს რეესტრს). იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მოპოვება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია ტყის

სტატუსის შეწყვეტის უფლების მოპოვება, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. ტყის სტატუსის შეწყვეტა რეგულირდება „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 06 ოქტომბრის №496 დადგენილებით და შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იქნეს აღნიშნული დადგენილების მოთხოვნები;

- დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, shp ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია კვეთს/მოიცავს: სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვების მიზნით, გაცემული ლიცენზიების შემდეგ კონტურებს (მიწისქვეშა წყლების შემთხვევაში სანიტარული დაცვის ზონებსაც): N10002134 - შპს „მშენებელი - იქს“ (ს/ნ 412733626), 14.06.2021 წ., ვადა - 5 წ. N10002126 - შპს „ვაგი“ (ს/ნ 412758957), 11.06.2021 წ., ვადა - 4 წ. ლავის გამოვლინების (ოქრო, სპილენძი, პოლიმეტალები) და მასზე გაცემული ლიცენზია N 10002653 კონტურს - შპს „გოლდ ლენდი“, 24.01.2022 წ., ვადა - 20 წ., ასევე - მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულების) NN1003741, 1004699, 10001561, 10002269, 10002897, 10002904, 814 ლიცენზიებს, დასკვნა მომზადებულ ობიექტს, ფერსას მინერალური წყლის ჭაბურღილს, პირველი სანიტარული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონებსა და სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ახალციხის აქატის და ვარციხის ქვიშა-ხრეშის საბადოებს. **წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან და ლიცენზიის მფლობელებთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია;**
- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, რამდენიმე ანძის განთავსების სიახლოვეს ფიქსირდება ნაეკლესიარი და სამაროვანი (GPS კოორდინატები: X-0341231, Y-4620093; X-328972 Y-4620218;) შესაბამისად, აღნიშნულ პერიმეტრზე სამშენებლო სამუშაოებს წინ უნდა უსწრებდეს არქეოლოგიური სამუშაოები, ანგარიშის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარდგენის ვალდებულებით. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;**
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგზ-ის ზოგიერთი მონაკვეთი კვეთს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს. აღნიშნული საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ ცნობით, საპროექტო მონაკვეთი კვეთს მაშველის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხს „გ-1“ და მის გამანაწილებელ ქსელს; შემაერთებელ მაგისტრალურ არხს „გ-3“; გეგუთის მაგისტრალურ არხს „გ-2“ და მის გამანაწილებელ ქსელს; მაგისტრალური არხების გასხვისების ზოლები შეადგენს 10-10

მეტრს არხის კიდიდან, მის ორივე მხარეს, ხოლო გამანაწილებელი არხებისთვის 6-6 მეტრს არხის კიდიდან მის ორივე მხარეს. საპროექტო მონაკვეთზე ეგზ-ის მშენებლობისას დაცული უნდა იქნეს სამელიორაციო სისტემების გასხვისების ზოლები და არ უნდა მოხდეს არხების საექსპლუატაციო გზის დაზიანება. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის და საექსპლუატაციო გზის დაზიანების შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა. მშენებლობის დროს გათვალისწინებულია ტყის ბუფერული ზონების ჭრა, რომელიც მოიცავს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდებარე ტერიტორიებს. ტყის ბუფერული ზონების ჭრის დროს არ უნდა მოხდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის დაზიანება, არხების დაზიანება და წყლის ნაკადის შეფერხება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;**

- დაზუსტებას საჭიროებს სახელმწიფო ტყეზე, დაცულ ტერიტორიებზე და ზურმუხტის ქსელის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია. მაგალითად, სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „საბაზისო პროექტის მიხედვით, პროექტის ზემოქმედების არეალიდან დაახლოებით 987,712 მ² მდებარეობს ტყით დაფარულ ტერიტორიებზე, რომლებსაც მართავს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო“; 4.3.3, 5.1 და 7 პარაგრაფებში მითითებულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მოსაწყობი მონაკვეთები არ კვეთს დაცულ ტერიტორიებსა და ზურმუხტის ქსელის საზღვრებს. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი shp ფაილის მიხედვით, მცირე ნაწილში კვეთს ზურმუხტის ქსელის საიტს (Borjomi-Kharagauli 2 - GE0000056). **ზემოაღნიშნული საკითხების დაზუსტებასთან ერთად, გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ზურმუხტის საიტზე ზეგავლენის შეფასება ე.წ. მიზანშეწონილობის შეფასება, პრევენციული ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხები;**
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „მოსაჭრელი ხეების გარემოდან ამოღება განხორციელდება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შემდგომ“, ასევე ბიომრავალფეროვნების ქვეთავში მითითებულია, რომ: „ახალი საპროექტო ხაზები (შეცვლილი მონაკვეთები) გაივლის მონაკვეთებს, რომლებზეც ხე-მცენარეებით დაფარული ტერიტორიები პრაქტიკულად არ არის და ამ მონაკვეთებზე ხე-მცენარეების ჭრების განხორციელების საჭიროება არ არის“. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ ვანის მუნიციპალიტეტში ძირითადად დაუსახლებელ ტერიტორიებზე გზა მოსაწყობი იქნება დაახლოებით 60-70 ერთეულ

მონაკვეთზე, თითოეულ მონაკვეთზე გათვალისწინებულია დაახლოებით 300-500მ სიგრძის გზების მოწყობა. ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად გვხვდება გრუნტის გზები, სადაც დაახლოებით 20 მონაკვეთზე საჭირო იქნება 30-50 მ სიგრძის მისასვლელი გზების მოწყობა. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში ჯამურად დაგეგმილია 109 კმ სიგრძის გზების მოწყობა, დაახლოებით 50-54 ჰა ფართობის ტერიტორიაზე;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ეგხ-ის დერეფანში 235 ანძის ნაცვლად, მოეწყობა 289 ანძა და ეგხ-ის სიგრძე 103 კმ-დან, გაიზრდება 105 კმ-მდე. ანძების რაოდენობის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ეგხ-ის სიგრძე (მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იყოს ანძებს შორის დაშორების მანძილების შესახებ ინფორმაცია), ამასთან ეგხ-ის სიგრძე თანხვედრაში უნდა იყოს shp ფაილებთან;
- ვინაიდან სკოპინგის ანგარიში მოიცავს 2020 წლის 21 სექტემბრის N2-840 ბრძანებით გაცემულ ეგხ-ის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, რომლის მიხედვით ეგხ-ის დერეფანში 235 ანძის ნაცვლად, მოეწყობა 289 ანძა და ეგხ-ის სიგრძე 103 კმ-დან, გაიზრდება 105 კმ-მდე. ასევე რამდენიმე მონაკვეთზე მოხდება არსებული ანძების ადგილმონაცვლეობა და მისასვლელი გზების რეაბილიტაცია/მოწყობა, გზშ-ის ანგარიშში მითითებული უნდა იყოს მოთხოვნა 2020 წლის 21 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება N2-840) ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, ასევე მკაფიოდ უნდა იყოს განხილული და ერთმანეთთან შედარებული, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ეგხ-ის დერეფნები (მათ შორის, მისასვლელი გზების დერეფნები) და პარამეტრები;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით)

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება 500 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი

კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების
სრული დაცვით.